

ჯარის ნაწილებს  
უფასოთ ვგზავ-  
ნებათ.

5 სექტ. 1920წ.



# მსკდარი

ფასი 10 მან.

№ 14

ორგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. საქმიისა.

№ 14

F-5745

1447



გენერალი მდივანი.  
ბათუმის ოლქის საგანგებო კომისიის თანამდებელი.

## მისჯლმებს

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„გულწრფელი კმაყოფილებით მიიღო ქართველმა ხალხმა ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენმარწმუნებულმა, შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელთან ერთად, ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ზავზე. ქართველი ერი და მისი მთავრობა იზიარებს თქვენს ზეიმსა და სიხარულს იმ უდიდესი ისტო-

რიული აქტის გამო, რომელიც მიხდა სომხების ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. გერწამს რომ უძნელესი მომენტი სომხეთის ტრაგედიისა უკვე განვლილია. გაუმარჯოს და აყვავდეს სომხეთის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი საქმე. დეე, კიდევ უფრო განმტკიცდეს უკვე აღმდგარი მეგობრობა და ძმიება ჩვენი, კერძობრივად ძმური ერებისა“.

გრ. ლორთქიფანიძე





# მთავრობის თავმჯდომარის მოგზაურობა.

მთავრობის თავმჯდომარენ. ნ. ყორდანი 15 სექტემბრიდან აპირებს პროვინციაში მოგზაურობას, მიზანი მოგზაურობისა არის პირადათ გაცნობა იმისა, თუ როგორ მუშაობს ჩვენი მართვა-გამგეობის ორგანოები და როგორ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის მიერ მოხდენილი რეფორმები.

გზა და გზა მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს საჩივრებს სახელმწიფო და საზოგადო ორგანოებზე, მოისმენს აგრეთვე ხალხის ჭირ-ვარამსა და მოთხოვნილებებს.

გზებზე მდებარე სოფლებსა და ქალაქებში მთავრობის თავმჯდომარე შეჩერდება ნახევარ საათობით და მოუსმენს დელეგატებს და ცალკე პირთ საზოგადო საჭიროებებზე.

კერძო პირთაგან კი მიიღებს მხოლოდ წერილობით თხოვნებს.

პირველი მოგზაურობის გეზი დაახლოვებით ასეთია: ტფილისი—სართიქალა—სიღნაღი—გურჯაანი—წინანდალი.

ორი, ან სამი დღით წინანდალში დასვენების შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარე გაემგზავრება თელავს ყვარელს და იქიდან დაბრუნდება წინანდალში.

წინანდალიდან ერთი დღის დასვენების შემდეგ იგი გაემართება თელავს და გომბორის გზით დაბრუნდება ტფილისში.

შემდეგი მოგზაურობა განზრახულია დუშეთის და გორის მაზრებში. მოგზაურობის დროს მთავრობის თავმჯდომარეს ეახლება მისი პირადი მდივანი და აღიუტანტი.

## ჰარი და სასულიერო.

1.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ერთხელ კიდევ ზედმეტად დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფო და ჯარი ეს ორი ერთი-ერთმანეთის დამატება-შევსების ორგანიზაციაა, რომელნიც ერთი-ერთმანეთს გადასცემენ არსებობის წყაროს. რომ ყოველისფერი ის, რასაც ამაჟამად დაგინატავთ, არ დარჩეს მხოლოდ მოახროგენ ადამიანის სიტყვებად და ცარიელა მოსაზრებად, არამედ დარჩეს როგორც ფაქტიურ სანამდვილიდან გამომდინარე დასკვნა, მე მოვიწვევლით ჩემთან ერთად მცირეოდენი ხნით შეჩერდეთ და გადავშალოთ რუსეთის რევოლიუციის ფურცლები. პირველი ყოვლისა თქვენ წარმოგიდგებათ კითხვა, როგორ მოხდა რომ ოდესღაც

რუსეთის ძლიერი ჯარი, რომელიც ბშირად მიშველი გულ-მკერდით იცავდა რუსეთს მხოლოდ, მოულოდნელად ზურგს ატრიალებს სამშობლოს გულში სისხლიან დანას ჩასცემს განსაგმირავად. როგორ მოხდა, რომ დამცველი შვილი დედის მკვლელი შეიქმნა? რა თქმა უნდა, აქ იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც თვითონ არმიას თავისი ნებით ედრიკნოს მისთვის ზურგი და გულში დანა გაეტარებინოს როგორც უმადურს, საზიზღარს, მკვლელს, მკვლელს თავისი დედისას, ოჰ, არა! იგი მკვლელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარი როგორც ერთი, უკვე აღარ არსებობდა, იგი მკვლელობამდე გაჰქრა. და აი, მისი თავის მკვლელობა გარდაიქცა თვით რუსეთის სახელმწიფოს მკვლელობად. რუსეთის ჯარი კერენსკის გამოხვლამდე ყაზარმებში იყო ჩაკეტილი. მისი ხელმძღვანელნი მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ ჯარის-კაციდან ყურმოჭრილი პირუტყვი შეექმნათ, რომელიც მონაზე უფრო საცოდავი უნდა ყოფილიყო თავისი მდგომარეობით. მის სულსა და გულში უწმიდურს ხელს აფათურებდნენ და სულ იმას ჩასჩურჩულებდნენ, რომ რუსეთს თუ მტერი ჰყავს, ისევ შეგნიდან, ესენი არიან სტუდენტები და მოწინავე ინტელიგენციაო. ხელმძღვანელთა მთელი შემადგენლობა დაუღალავად სთხრიდა უძირო უფსკრულს თავისსა და ჯარის-კაცს შუა. რუსეთის ფართო საზოგადოებამ არ იცოდა თუ რა ტრაგედია ჰხდებოდა ყაზარმებში, რა სულიერს ტანჯვას განიცდიდნენ ჯარის-კაცები. ამავე საზოგადოებამ არ იცოდა, თუ რამდენი ნორჩი სიცოცხლე ესალმებოდა წუთის-სოფელს თავის კვლით, როდესაც ვეღარ უძლებდნენ თავის დამცირებას და ადამიანურ უფლებათა შელახვას ტლანქ ხელებისგან. ძნელია იმისი წარმოდგენა, რა სიყვარული, რა უსაზღვრო ნდობა და თავგანწირულება იჩენდა ჯარის-კაცთა შორის იმ ოფიცრისადმი, ვინცა მათ აღლოს აუღებდა, დაუახლოვდებოდა და ადამიანური მოქცევით აღემატებოდა თავის ამხლებს. ასეთი ოფიცერი ჯარის-კაცთათვის ნამდვილი კერპი იყო, სათაყვანო არსება.


არ დამავიწყდება ერთი ქართველი ოფიცერი, რომელსაც თავის ოთახში მტირალს შევესწარი. როცა ვკითხე, ლადო, რა გემართება-მეთქი? გადამეხვია და ცრემლების ყლაპვით მეუბნება:

„ნერვები საშინლად აშლილი მქონდა და ჩემს დენშიკს სილა ვავარტყი:—ამ დროს შემოდის მისი დენშიკი. როგორ გაშეშდა, გამოყეყენდა საცოდავი, როდესაც თავის ოფიცრის ცრემლები შენიშნა,

—„თქვენო ბრწყინვალეებო, რა გატირებთ?“ ოფიცერმა ვერ მოითმინა, მივარდა, მოეხვია და ეუბნება:

„მაპატიე, გეთყვა, რომ სიბრაზე ვერ შევიკავე.. მაპატიევი!“—აი, მაშინ კი გამოჩნდა, რაც იყო ეს ოფიცერი თავის ჯარის-კაცისთვის! საბრა-





ლო გალახული დენშიკი კი მიჰვარდა, ხელზე დაუწყო კოცნა და ტრემლების ფრქვევით ეუბნება:

— ოჰ, მამავ ბატონო, ღმერთმა ნუ ჰქნას რომ ვინმემ თქვენი ესკადრონიდან დაგინახოთ ჩემთვის მტირალი... რას სჩადით, რას... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ?..

უნდა შევნიშნოთ, რომ ოფიცერი იგი მთელს ესკადრონში ცნობილი იყო, როგორც სასტიკი და მეტის მეტი მომთხოვი ადამიანი. ეს ამბავი ამ ოცი წლის წინად მოხდა, როცა სტუდენტი ვიყავ და ყაზარმებში ფარულ ორგანიზაციებს ვაწყობდით, როგორც ჯარში ფართო განათლების შესატანად, ისე არსებულ წესწყობილების დამგრეველ ელემენტების აღსაზრდელად.

ოფიცრის ასეთი სიყვარული ჯარის-კაცისადმი სრულიად უბრალოდ აიხსნება: რამდენადაც ის სასტიკი და მომთხოვი იყო, იმდენად უფრო მზრუნველი იყო მათი, მაგრამ ასეთი ბედნიერი შემთხვევა რუსეთში მეტად იშვიათი იყო. დაუსრულებელი ტანჯვა-წამება ერთი მხრით უნო მასისა, თავშეუყავებელი ბატონ-კაცობური მბრძანებლობის მოყვარება, — აი ის სურათი, რომელსაც ერქვა „რუსეთის ყაზარმული ცხოვრება“. აი ამ ფონზე იხატებოდა სამშობლოს დამცველთა გაწამებული ცხოვრება, ე. ი. იმ ორგანიზმის სიცოცხლე, რომელსაც ეწოდებოდა ძლიერი რუსეთის ჯარი.

ასე იყო თუ ისე, ძველ არმიას ახსიათებდა მტკიცე დისციპლინა, რკინის წესიერება, მაგრამ ამ წესიერებას უნებურად დარღვევა უნდა მოჰყოლოდა შემდეგ, როცა რევოლიუციის ქარიშხალი ამოვარდა და ესეც იმიტომ, რომ არმიაში დაშლა და გახრწნა თვით რევოლიუციის მესვეურებმა ვერ მოახდინეს. ვის არ ახსოვს აღფრთოვანებული კერენსკი. რა ახსიათებდა მის მოქმედებას? სიტყვები, ცეცხლ-მფრქვევი სიტყვები, ფრთა-შესხმული ფრაზები და მეტი არაფერი. უწინდელი რკინის დისციპლინა კერენსკიმ და მისმა ამხანაგებმა შესცვალეს ფრაზებათ და ეს ეგონათ სახელმწიფოს აღმშენებლობა! იმის ნაცვლად რომ ჯარში რეფორმამდე არსებული დისციპლინა დემოკრატიულად შეეცვალათ, ისინი შეუდგნენ მთელი თავის ძალ-ღონით მის დაშლა-დარღვევას. რაკი აღმოფხვრილი იქნა თვით საფუძველი დისციპლინისა, ჯარის შემეცნებაც დაიკარგა, იგი გარდაიქმნა პოლიტიკის ფართო სარბიელად, სადაც თვით კრიტიკულს მომენტებში სარღობას ეწოდნენ უვიცი და გაუთლელი ჯარის-კაცები, ვისაც ენის ქავილი უფრო ალაპარაკებდათ, ვიდრე კეთილგონიერება. რაღა თქმა უნდა, ნაყოფიც შესაფერი იქნებოდა ყველა ამის შემდეგ. ძირიან ფესვიანად ამოფხვრილ იქნა თვით წარმოდგენაც კი მოვალეობისა.

რა იყო სამშობლო, ან რას ნიშნავდა მისდამი სიყვარული, თავგანწირულება, მოგონილ ზღაპ-


რებად დარჩა. ვინ იყო მბრძანებელი? არავინ იცოდა და არც უნდოდათ გაეგოთ. აქეთ კერენსკის ბრძანებანი, იქით გუჩკოვისა, პოლკოვნიკებისა, დეგ ათას ქამელიონთა ფუსფუსი და ბოლშევიკების უარესია, მიტინგები, დაუსრულებელი მიტინგები როცა გერმანელთა ცეპელინები და ჰაერობლანები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ, — აი ყველა ის საშინელი ორომტრიალი, რომელიც მოჰყვა დისციპლინის ჩაკვლას, რამაც თავის სიკვდილთან ერთად თან ჩაიტანა საფლავში თვით აზრი რუსეთის ჯარის არსებობისა, რომელიც უნიეთო, ყოვლად უბადრუკი შეიქმნა მტრისთვის ოდნავი მაინც წინააღმდეგობა გაეწია.

ტყუილი ბრალდებაა, ვითომც ბოლშევიკებს დაეღუპნოთ რუსეთის სახელოვანი ჯარი, არა მათ მხოლოდ დაამთავრეს ის, რაც დაიწყო კერენსკიმ. ბოლშევიკებმა თავიანთ უროს ცემით მხოლოდ ნაშთებოდა გაანადგურეს და მეტი არაფერი. შემადრწუნებელია ყველა ეს, მაგრამ ისეთი უტყუარი ფაქტი, რომლის წინაშეც ქედს ახრის კერენსკი-ლენინის დროის წამხდარი და ლეჩაქ მოხდილი რუსეთის ხალხის ისტორია. ღირსეულ ხელმძღვანელთა ჩამოშორება, სამხედრო დისციპლინის ქურაში გამოწვრთნილ და ავტორიტეტ მოხვეჭილ პიროვნებათა გამასხარავება, და თხოვნა, საეჭვო პიროვნებათაგან შემდგარ კომიტეტების წინაშე მათი წაყენება და უსამართლო მათი განჯა და დასჯა, ამის ნაცვლად შემოღება უპასუხისმგებლობისა, რევოლიუციონურ კომისრებისა და კომიტეტებისა, სადაც ჰხედებოდნენ მხოლოდ მცირე ჯგუფთა და გაყაჩაღებულთა სასურველი პიროვნებანი, — აი ყველა ის მიზეზები, რომელნიც მძიმე წერაქვსასცემდა და ანადგურებდა ჯარს, ათახსირებდა ზნეობრივად და ცოცხალ ლეშად გარდაქმნილს მტრის საწეწავ საგნად აგდებდა.

რევოლიუციის მესვეურთა უგუნურად გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ის დღემართი, რომელიც უფსკვრულისაკენ მიაქანებდა რუსეთის სახელგანთქმულს მხედრობას და ამ უფსკრულის პირს გადმომდგარ კერენსკის გულზე ხელები დაეკრიბა და ეგონა, ვითომც დიდი საგმირო საქმე გააკეთა, შთამომავლობა ნაპოლეონად აღიარებდა მას. უბადრუკს ავიწყდებოდა მხოლოდ ერთი რამ, რომ ნაპოლეონობისთვის მარტო ცეცხლ-მფრქვევი სიტყვები და მისი პოზის დაჭერა კი არ იყო, არამედ იმ რკინის დისციპლინის შექმნა ჯარში, რასაც ნაპოლეონი ფოლად მარჯვენით სქედავდა თავის გენიის სამქედლოში...

დამიტრი ჯაბრიშვილი.





ბარცხანის სიმაგრეზე ინგლისელების მიერ 1920 წ. ივნისის 20-ს აფეთქებული მიძიმე შორს მსროლი, სატრიალებელი ზარბაზანი. ასეთი ზარბაზანი რამდენიმე იყო, გარდა ამისა მათ მიერ აფეთქებულია 25 ზარბაზანი.

### უნცროს-უფროსობა ჯარში

არა ერთხელ გამიგონია ზოგიერთ ჯარისკაცებიდგან უკმაყოფილო სიტყვები ზოგიერთ ოფიცერზე ცუდი მოპყრობის გამო. „ეს იგივე მონობაა, როგორც ძველად იყო“ ამბობდნენ ზოგი მათგანი. საკითხის ნათელ საყოფად საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნა რომ, თუმცა ზოგიერთი ოფიცერი ჯერჯერობით ვერ სდგას ჯეროვან სიმალღეზე მაგრამ ეს არ ითქმის საზოგადოდ მთელ ჯარის

შემადგენლობაზე. უკვე არა ერთხელ აღნიშნული დამტკიცებულა, რომ თანამედროვე პირობებში ძნელია შეიქნეს ნამდვილად უკმაყოფილო ჯარი მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით.

სამი წელიწადია რაც საქართველო დამოუკიდებლად არსებობს, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არც ერთხელ არ გვქონია საშვალეობა თავისუფალ ამოსუნთქვისა, მუდმივი ომი, მუდმივი სისხლის ღვრა. ხან სამხრეთიდან გვესხმოდნენ მუხანათნი, თავისუფლების მოძულენი და ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას, ხან ჩრდილოეთიდან გვევლინებოდა რეაქცია თავისი შავი ბრქვალეებით, ხან შინაური, რევოლიუციით უკმაყოფილო ელემენტები უკიდურეს სოციალისტების ქურქში გახვეული კომუნისტურ დევიზებით, მოქარგულ ენით წამლავდნენ გულუბრყვალო ხალხს და გამოაყვადათ რესპუბლიკის წინააღმდეგ, ასე რომ დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა იძულებული ვხდებოდით იარაღით ვმდგარიყავით საგუშაგოებზე თავისუფლების დასაცველად.

ასეთ პირობებში ლაპარაკი კი ზემდეტი იყო სახალხო მილიციის შექმნაზე. პირიქით საჭირო იყო ძლიერ მტკიცე დისციპლინა, კიდევ უძლიერესი ვიდრე ძველად იყო, რომ პატარა კუთხეს შეძლება ჰქონოდა თავისი ისტორიული უფლებების დაცვისა. სწორედ ამ საშვალეობით შეესძელით ჩვენ გამარჯვება.

აი რისთვის არის საჭირო დისციპლინა და უნცროს-უფროსობა. ვის არ ახსოვს ათას ცხრაას თვრამეტი წლის ისტორია, როცა ჯარში არავითარ დისციპლინას ალაგი არ ჰქონდა, საკითხები მხოლოდ კრებებზე წყდებოდა, მახსოვს როცა ნატანების ფრონტზე წასვლის რეზოლიუცია გამოვიტანეთ ოზურგეთის დაცემის ამბავი რომ მოგვივიდა. თურმე ჩვენი ცხარე კამათისა და მსჯელობის დროს მტერი არხეინად შემოდოდა ჩვენ საზღვრებში.

მახსოვს, ძლიერ რევოლიუციონური გატაცებით. „ურას“ და „ვაშას“ ძახილით მოქალაქენი ბათუმის ფრონტზე გაემგზავრნენ. იმ წუთებში თავი ლომებათ წარმოიდგინენ, მთავრობაც დარწმუნებული იყო ბათუმის დაცვაში, მაგრამ აღმოჩნდა უდისციპლინოდ ისინი ძლიერ სუსტნი ყოფილან. პირველად დაიძრა ყველაზე უმხდალესი გუნდი, მას მოჰყვა მეორე, მესამე და საბოლოოდ მთელი ჯარი დაიძრა ფრონტიდან. აქ არ არსებობდა არავითარი უნცროს უფროსობა ყველა თანასწორად გამოიბოდა სახლში. ვერ ამჩნევდნენ გულუბრყვილონი, რომ ვაჟკაცურად გულში მოსახვედრი ტყვია ლაჩრულად ზურგში ხედებოდათ.

მაგრამ გავიდა დრო, სახელმწიფოს მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა, ჯარშიაც თანდათან წესრიგინობა დამყარდა, განმტკიცდა დისციპლინა. გუშინდელი ბათუმის დეზერტირები, რომლებიც მტრის მოჩვენებაზე „ლალატია“ს ძახილით უკან გამოიბოდა დღეს რისხვად ევლინება ყოველ გარეშე და შინაურ მომხდურთ.



შეადარეთ ათას ცხრაას თვრამეტი წლის საქართველოს რესპუბლიკის ჯარი დღევანდელ ჯარს! ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ არც ჯარის რიცხვი მოგვმატებია, არც ტენიკა გავგიუმჯობესებია, მაგრამ დღევანდელ ლაშქრის ძლიერება შეუდარებელია მაშინდელთან. მაშასადამე არც რიცხვი — არც ტენიკა, აქ მესამე ელემენტს აქვს მნიშვნელობა და ეს ელემენტი დისციპლინაა.

რაც უნდა საღი მოაზროვნე იყოს ჯარის-კაცი, ოფიცერს გაცილებით უფრო კარგათ ესმის სამხედრო საქმეები ვიდრე მას, ამიტომ ბრძანების ასრულება თვით საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ბრძანების ასრულებაში არ გამოიხატება არავითარი ბატონ-ყმობა, არამედ აქვს მოითხოვს ჯარის სიტუაციე. ლაშქარი ერთ მტკიცე ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, რომლის მოძრაობა, მოქმედება ხდება ერთად პარმონიულად.

ვინ არიან ჩვენი უფროსები?

მთავრობის მიერ არჩეული პირები. მთავრობას ირჩევს დამფუძნებელი კრება. ეს უკანასკნელი კი არჩეულია ხალხისაგან. მაშასადამე ჩვენი უფროსები ინიშნება არა პირდაპირ თვით ხალხისაგან. და ვინც უფროსების განკარგულებას არ ასრულებს იგი ხალხის მტერია.

შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ოფიცერი შესცდეს განკარგულების მოცემის დროს, მაგრამ აქ კრიტიკა მაინც დაუშვებელია. ვთქვათ მწყობრში ვარჯიშობის დროს ოფიცერმა შემცდარი განკარგულება მოახდინა, მთელი გუნდი ასრულებს ამ შეცდომას. მთელი ერთეული ერთად ცდება. აქ გარეგანი სილამაზე მაინც დაკუთლია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლაშქარში. ყოველ შემთხვევაში ოფიცერი თვითონვე გამოსაწორებს თავის შეცდომას, ამიტომ ვამბობ მწყობრში დგომის დროს ჯარის-კაცი ნამდვილი მანქანა უნდა იყოს.

ჯარის-კაცი თავის უფროსს უნდა უყურებდეს არა როგორც ბატონს, არამედ როგორც უფროსს. მიმართოს მას ზრდილობიანი სიტყვით „ბატონო“, თავის მხრით ოფიცერი ჯარის-კაცს უნდა უყურებდეს როგორც უმცროს ამხანაგს და მიმართოს მას სიტყვით „თქვენ“. ამაში გამოიხატება დემოკრატიული პრინციპი.

ზოგიერთ ჯარის-კაცს სასირცხოოდ მიაჩნია ოფიცრისათვის სალამის მიცემა ხელის აწევით, და ყოველ შემთხვევაში ცდილობს ქუჩაში ან გადაუხვიოს ან თვალი აარიდოს. სალამის მიცემა მხედრული ზრდილობა და პატიოსნებაა. განა მარტო მხედრობაშია მიღებული სალამი? ეს მოქალაქობრივი ზნეობრივი მოვლენაა. ზოგიერთი მოხუცი გაგლანძღავს, სალამი რომ არ მისცე. ვისაც მოწაფეობა გამოუცდია იმან აღბად იცის რომ მასწავლებლები სჯიან იმ მოწაფეებს, რომლებიც მათ ქუჩაში თავს არ უკრავენ. რით განიჩივება ხელის აწევა „გამარჯობიდან“? არაფრით. ხელის აწევა იგივე მხედრული გამარჯობაა. მასში გამოიხატება სამხედ-

რო პირთა ურთიერთ პატივისცემა, სიკეთილშობილი, სიმბატია, რომელიც ამტკიცებს მხედართა შორის კავშირს და ზრდის მათ ძლიერებას. დარწმუნებული ვარ, რომ ჯარის-კაცი, რომელიც სალამის მიცემას გაუბრბის, ომშიაც ცოტა სარგებლობას მოგვიტანს, ეს ბუნებრივია. განა თავს გაიმეტებს ის სამშობლოსათვის ვინც სალამს არ იმეტებს? არა მგონია.

შეიგნეთ, ამხანაგებო ჯარის-კაცებო, რომ ხელის აწევა და სალამი პატიოსნება და ზნეობრივი სისპეტაკეა.

მაგრამ რამდენათაც ზოგიერთი ჯარის-კაცი ვერ დგას ჯეროვან სიმალღეზე, და ეს ჩემი აზრით უმეტეს შემთხვევაში შეუგნებლობას უნდა მიეწეროს, იმდენათ ზოგიერთი ოფიცრებიც ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ზნეობრივ მოთხოვნილებებს. ცემა-ტყემა, ლანძღვა-გინება კიდევ ვერ გადაუგდიათ, კიდევ ვერ დაუვიწყებიათ ძველი ჩვეულება. ნუ თუ რევოლიუციამ მათში ვერ გამოიწვია ვერავითარი ცვლილება? შეიგნეთ ბატონო ოფიცრებო, რომ ჩვენ თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოში ვცხოვრობთ, სადაც აღიარებულია მოქალაქეობრივი უფლებები! მიიღეთ მხედველობაში რომ ჯარის-კაციც ადამიანია. ცემა-ტყემა მუშტი-კრივი შეუგნებელი, აზიური ხელობაა. დეე! დეზერტირი, და სამშობლოს მოღალატე, დისციპლინის დამრღვევი, ქურდი ციხეში, — ციხეში ამოღებს, ხოლო ჯარის-კაცის გალახვა მაინც დაუშვებელია.


დარწმუნებული ვარ რომ ეს ნაკლიც გამოსწორდება და ჩვენი ჯარიდან შეიქნება საძირკველი სახალხო მილიციისა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბედნიეროდ ოფიცერთა უმეტესობა ადვილათ შეეგუა რევოლიუციას და დემოკრატიზმს თავისი შეგნებით არსებულ პირობების აღლოს ადებით. ისინი ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს ოფიცრებია, რომლებზედაც შეიძლება იმედების დამყარება.

ჯარის-კაცი ვ. ჭყონია.

## კინემატოგრაფით მოგზაურობა ჯარში

თანამედროვე ომებმა და რევოლიუციამ ნათლად დაგვანახა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარში შეგნება-განვითარების შეტანას. თუ ჯარის კაცმა არ იცის ვისთვის ან რისთვის ომობს, თუ იგი შეგნებული არაა, ყოველთვის შეიძლება ადვილად წამოეგოს მტრის პროვოკაციულს, დამღუპელს ანკესს; ყველას შეუძლიან ადვილად მოატყუოს იგი და საითაც უნდა იქით აქნევიოს პირი, — ბრმა იარაღად გამოიყენოს იგი. ამის მაგალითი





მრავალი ვიცით ჩვენ რუსეთის „სოციალისტური“ ჯარების ისტორიიდან. რომ რუსის ჯარის კაცს გერმანელი ჯარის კაცის ნახევარი შეგნება მინც ჰქონოდა ისე ადგილად არ განიავებდა თავის სამშობლოს და საუკუნოებით შექმნილ ქონებას.

ეს ნათლად გაითვალისწინა სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციამ და მიზნად დაისახა ჯარის-კაცთა გათვითცნობიერება. ჯარში კულტურას შემტან ერთ საშუალებად სექციამ კინემოტოგრაფით მოგზაურობაც დაისახა. მართლაც ეს საშუალება საუკეთესო ღონისძიებად უნდა ჩათვალოს ჯარში შეგნების შეტანის საქმეში, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ჯარი ფრონტზე იმყოფება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის.

სექცია კარგი ხანია უკვე შეუდგა ჯარში მოგზაურობას. ამ ორი თვის წინად შემოვლილ ქნა ადერბეიჯანის ფრონტი; ამ ბოლო დროს კი — ბათომ-აქარის ფრონტი. ა. წ. აგვისტოს 4 კინომოტოგრაფით ბათომ-აქარაში გაემგზავრნენ; კულტურა-განათლების სექციის მთავარი ხელმძღვანელი ტ. ართმელაძე და ლექტორ-მასწავლებელი ალ. ჟორჟოლიანი, კოპერატივთა კავშირის საკინემოტოგრაფო განყოფილების გამგე მ. გოგიტიძე და მხატვარი კ. ქავთარაძე.

აგვისტოს 5. პირველად მუშაობა იწყება ქ. ბათომიდან.

ბათომში არა ჩვეულებრივი სიტუაცია. ხალხის უმრავლესობა ზღვისაკენ მიეშურება გასაგრილებლად, შავ ზღვაზე ორიოდ გემი მოსჩანს და ისიც წასასვლელად გამზადებული, თითქოს მოსწყინდათ ბათომთან მარტოდ ყოფნა და სურთ შორეულ ზღვაში განავარდებო. ქალაქის ქუჩებში, მაღაზიების წინ ხშირად შეხვდებით „აბრებს“ ქართული წარწერებით მაღაზიებს თავზე ასამართავად გამზადებულს.

სალამო მოახლოვდა და კინემოტოგრაფით ჩვენ მივეშურებით ბათომის მახლობლად დაბინდრებულს ჯარის ნაწილში. ჯარის-კაცობა გამზიარულებული გვეგებება გზაში. გზიდან მოისმის ხმა: ა! ბიჭო! ვიცანი ეს კულტურული სექციის პროექტორია (ეს ის ჯარის-კაცები იყვნენ, რომელთაც ს. კერპილში ინახულეს აღნიშნული კინემოტოგრაფი.)

სურათების ჩვენებამდე გამართული იქნა შეჯიბრება ქიდაობაში და გაქცევაში. ის ვინც გაასწრებდა, პრიზს, საჩუქარს ღებულობდა. აქ ნაჩვენები იქნა: ბათომის საქართველოსთან შემოერთების სურათი და ადერბეიჯანის ფრონტი. ამ სურათებმა არა ჩვეულებრივი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ჯარში, ვინაიდან ჯარის-კაცებმა თავისი თავი ეკრანზე დაინახეს. ისინი ერთი მეორეს ეუბნებოდნენ: ბიჭოს, შეხედე, ეს მე ვარ, ეს შენ, ეს მიხა და თანაც დასძენდნენ: ააშენა ღმერთმა როგორც ჩვენი მთავრობა, ისე სურათების გადაძღები.

სრულ 11 საათზე სურათების ჩვენება მოთავდა და ჯარის-კაცები „მეშინვენი“ უწყვეტით და სიმღერით მიეშურება კინემოტოგრაფით ადრე ვდგებით და მივემგზავრებით აქარის წყალზე. ბათომიდან იწყება და მდის აქარის წყლისაკენ მშვენიერი გზატკეცილი. სასიამოვნოა ამ გზით მოგზაურობა, აქეთ-იქით მშვენიერი ყანები და ტყით დაფარული მაღლობნი ახარებს კაცის გულს. კიდევ რამდენიმე წუთი და ჩვენ უკვე აქარის წყალზე ვართ, სწრაფად გამართულ იქნა კინემოტოგრაფი და სურათების ჩვენებაც დაიწყო. აქაც ნაჩვენები იქნა იგივე სურათები ყველაზე უფრო მეტს შთაბეჭდილებას ჯარზე სტოვებს ბათომის საქართველოზე გადმოცემის ზემო; ის მომენტი, როცა მოკავშირეთა დროშების ადგილს ჩვენი ეროვნული დროშა იქერს, დიდ სიხარულს იწვევს ჯარში. ჯარიდან მოისმის ხმა „გაუმარჯოს საქართველოს დროშას“, „გაუმარჯოს ჩვენს მთავრობასაო“. იმ ღამეს აქარის წყალზე ვრჩებით.

აგვისტოს 7. დილით ადრე ვდგებით და ვეწყობით დაბა ქედაში წასასვლელად, ჯარის კაცობა ვაშას ძახილით გვაცილებს. გზა თან და თან წამხდარი გვხვდება. გზაში გვხვდებიან სატელეგრაფო გუნდის ჯარის-კაცები, რომლებიც მუყაითად მუშაობენ და ტელეგრაფი გაჰყავთ. ძათი ასეთი ენერგიული მუშაობა საშუალებას აძლევს ყოველს მნახველს. იმედი იქონიოს, რომ ახლა ჩვენს ქვეყანას არასფერი უნდა უჭირდეს და მისს მოსპობას ვერავინ შესძლებს.

გზაში აქეთ-იქით მშვენიერი მთები მისდევს, რომელიც ტყით არის დაფარული. აქა-იქ მაღალ მთიდან, ძიულად ადგილიდან მოსჩანს აქარლების სახლები. საღამო მოახლოვდა და ჩვენ შევედით ქედაში. აქ ჯარის-კაცებმა რომ გაიგეს ამ საღამოს პროექტორი იძარბებო, გაეხარდათ და მაღლობის ნიშნად აღარ იცოდენ რა ექნათ. აქ ახერბეიჯანის და ბათომის სურათებთან ერთად უჩვენეს ჰმ მანისის დღესასწაული და დამფუძნებელ კრების გახსნა. აქაც იგივე სიხარულია და აღფრთოვანება.

სურათების ჩვენებამდე პოლკოვნიკი ართმელაძე ესაუბრა ჯარს დისციპლინის შესახებ. მან მშვენიერი, მდაბიო მაგალითებით დაუბტყიკა მათ წესრიგის (დისციპლინის) მნიშვნელობა ჯარში. შემდეგ ილაპარაკა ალ. ჟორჟოლიანმა ომების შესახებ. მან კარგად განუშარტა ჯარის-კაცებს, თუ რას ნიშნავს იმპერიარისტური ომი და თავდაცვითი ომი. ჩვენ, სთქვა მან, ყოველთვის ვაწარმოებდით თავდაცვით ომსაო. ართმელაძის და ჟორჟოლიანის სიტყვებს ჯარი ვაშას ძახილით ხვდება. შემდეგ ათასეულის ოფიცერმა ჯარის-კაცთა სახელით მადლობა გადაუხადა სტუმრებს.

სურათების ჩვენებას ადგილობრივი აქარლებიც დაესწრნენ. ზგერ ერთი აქარელი ჩვენ ჯარის-კაცს ეუბნება: ახლა კი მჯერა, რომ ჩვენი მთავრობა



კარგი მთავრობა არისო. ჯარის კაცი მამაცად უბასუხებს: დიახ! განლაგართ ქართველები ყოჩალი ბიჭებო.

უკვე ათი საათია, ჯარი იშლება და სიმღერით მიეშურება ბინებისაკენ.

იმ დღეს ვინახულეთ წითელი ჯვრის საავადმყოფო, რომელიც მოთავსებულია მაღლობ ადგილზე, მშვენიერ ორსართულიან სახლში. აქ ექიმად არის ბ. იაშვილი. საავადმყოფოში უფასოთ ექიმობენ აქარლებს. ჩვენ ვნახეთ რომდენიმე აქარელი მშვენიერს სუფთა ოთახში მწოლიარე, რომლებიც ძლიერ ემადლიერებოდნენ ბ. იაშვილს. ბ. იაშვილს ივლისის 12-დან აგვისტოს 7-დე მიელო დაახლოვებით 700 აქარელი, მათ შორის ასამდე ქალი. ინგლისელები ლებულობდნ თვეში 100 120 კაცამდე.

აგვისტოს 8. დაბა ქედიდან მივემგზავრებით ხულოს მიმართულობით. გზაში სურათი იგივეა: აქეთ-იქით მაღალი მთები, წყლის ნაპირას სიმინდინი ყანები. აქარელი კაცები გზაში გვხვდებიან, ხოლო მათ ქალს კი იშვიათად შეხვდებით გზაში.

შუაღლე გადავიდა და ჩვენც შევედით ხულოში. ხულო გაშენებულია მაღლობს ადგილზე და მშვენიერს სურათსაც წარმოადგენს. აქ ჩვენ ვნახეთ ხიმშიაშვილის სახლი, რომელიც ინგლისელების მოსვლამდე, როგორც ვადმოგვცეს, შესანიშნავი ყოფილა, აქვე, ემარა დროებით ორი ოფიცერი, რომელნიც აქარაში არეულობის დროს დაჰხოცეს. გადაწყვეტილი იყო მათი გვამების ტფილისში წამოსვენება.

ჯარის-კაცები სიხარულმა აიტაცა, რომ გაიგეს ამაღამ პროჟექტორი გაიმართებო. ეს ის ათასეულია, რომელსაც, როგორც ვადმოგვცეს, დიდი გაჭირვება გამოუვლია ამ მხარეში. საღამო მოახლოვდა, ჯერ ცოტა მოიღრუბლა და წვიმაც წამოვიდა, შემდეგ ისევ გადიწმინდა და საუცხოვო ამინდი დადგა. ჯარის-კაცები შოფერს ეკითხება: „წვიმაში ხომ შეიძლება თეატრის მოწყობაო“. სურათების ჩვენებამდე გაიმართა ჯარის-კაცებისა და აქარლების ცეკვა თამაში. აქარლებს საუცხოვოდ სკოდნიათ მოლხენა. ყველაზე უფრო გასაკვირველია მათი თამაში. როცა ორი აქარელი თამაშობს მათ შორის უფრო მაღალი თამაშის დროს ხშირად ფეხ ქვეშ ივლებს მეორე მოთამაშეს. აქარელს თამაში დიდხანს სკოდნია. ჩემს შეკითხვაზე, ასეთი თამაში სად ისწავლეთ მეთქი, აქარელმა მიპასუხა, ჩვენ ძველი ქართველები ვართ და თქვენ არაფერში ჩამოგვივარდებითო.

უკვე გაისმა საყვირის ხმა. ჯარის-კაცები სალოცავად გადიან.

მშვენიერი სურათია, როცა მთელი ბათალიონი ამ კლდეებში, მიუვალ ადგილას სდგას და გულმოდგინედ ლოცულობს. ლოცვის შემდეგ ყოველი გუნდი ცალკე გროვდება და იწყებს სავარჯიშოდ

სიმღერას და თან ფეხებს აყოლებენ. რომოდან და სურათების ჩვენებაც დაიწყო. ეკრანზე გამოჩენილს ჩვენს დროშას ჯარი ფეხს უკრავდა. დიდების“ გალობით ეგებება, მტერს უკრავდა. მისმის ხმები: „გაუმარჯოს ბათომს, გაუმარჯოს აქარას და მის სამშობლო საქართველოსაო“ სურათების ჩვენება თავდება და ჯარი გახარებული ელექტრონით განათებულს მინდორში გუნდებად ეწყობა ბინებისაკენ გასამგზავრებლად.

აგვისტოს 9-ს. დილით ადრე ვდგებით. სურათების გადაღება დაიწყო. გადაღებულ იქნა ჯარი და მასთან ერთად ხულოს მიდამოება ლენტეხზე. ამ დილითვე შეიკრებილ ჯარს ტ. ართმელაძე საუბარს უმართავს, რასაც ჯარი დიდი სიხარულით ეგებება. სრული 7 საათია, ჩვენ მიეშურებით ბათომისაკენ. ჯარი ვაშას ძახილით გააცილებს. აგვისტოს 10 ბათომიდან ნასიამოვნები და გახარებული ჩვენი ჯარის ნახვით მოვემგზავრებით ტფილისისაკენ.

გრ. მესხი.

## სამუღლოთ ღამცველეს.

ბრძოლის ველზედ ყიჟინაა  
ქუხს და დრტვინავს ზარბაზნები,  
მტრის ურდოებს მედგრად ხვდება  
საქართველოს დევ-გმირები.

„წინ! წინ! ძმებო შორს გაისმა  
შეტევაზედ ერთად ყველა,  
შევანანოთ მტრის ბრბოებსა  
თავს დასხმა და შემოტევა“.

მწყობრად მიდის ჩვენი ჯარი  
ცეცხლის რგოლებს არღვევს მკერდით,  
მტერს შეჰყვირის — „საქართველო  
აღმდგარია უკვე მკვირეთით“.

ბრძოლა არის სელჩართული  
გასალკდევდა ქართველის გული,  
ძველებურად ეახსენდათ —  
„გამარჯვება ან სიკვდილი“.

ბრძოლის ველზედ ყიჟინაა  
სისხლით რწყავენ მწვანე მდელოს,  
და სამშობლოს დევ-გმირები  
ბედს უქედენ საქართველოს.

გვარდიელი პლატონ გურული.





კ.ბ. სიმ. შავგულიძე.

სიმონიკა იობის ძე შავგულიძე დაიბადა 1894 წ., სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, აქედან ის (გადასახლებულ იქნა სიმფეროპოლის სემინარიაში როგორც პოლიტიკურათ არა საიმედო პირი, სადაც მან დაამთავრა სწავლა 1914 წ., და მაშე ვე გაწვეულ იყო სამხედრო სამსახურში მან დაამთავრა კიევის სამხედრო სასწავლებელი პირველ ხარისხზე. 1915 წ. 1 იანვრიდან გასუფუფვებულივ დებულობდა მონაწილეობას ყველა ბრძოლებში: გალიციაში, კარპატებში და უკრაინულ დროს რუმინიაში. ერთხელ იყო დაჭრილი, მეორედ შხამიანი გაზით გაგუდული, ამ საერთაშორისო ომის დროს მან გამოიჩინა საარაკო გმირობა, რითვისაც მ წლის განმავლობაში დაჯილდოვდა კაპიტნის ჩინით, ყველა ობერ-ოფიცრის ორდენებით: ოქროს ხმლით, გიორგის ჯვრით და სხვა. თავის მამულის სიყვარული სიმონიკას ბავშობიდანვე გულში ჰქონდა ჩანერგული. როდესაც რუსეთში ანარქია დაიწყო, მაშინვე თავის ქვეყანას მოაშურა, მოსკლისთანავე ჩაეწერა ქართულ ლაშქარში და შეუდგა ჩვენი ქვეყნის გამტკიცების საქმეს, მან თვალსაჩინო როლი შეასრულა, ქუთაისში 1917 წ. დეკემბერში, მოწყობილ, ანარქიის ჩაქრობაში. როდესაც ჩვენი საუკეთესო კუთხე ბათუმი და მისი ოლქი რუსეთის კომუნისტებმა საჩუქრათ უძღვნეს ჩვენ ისტორიულ მტერს ოსმალებს, სიმონიკამ მაშინვე უცუათ შეგროვულ გაუწვრთნელ ჯარისკაცებით, მიაშურა ბათუმის სიმაგრებს, თანვე წაიყვანა მოხალისეები თავის ორი უმცროსი ძმა (მოწაფეები).

### კახიჭანი სივლენ უავგულიძე.

შეუძღვებელია ქვეყნად არსებობდეს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს აღმოფხვრა პატიოსან ქართველ მოქალაქის მესხიერებიდან 1918 წლის მარტის და აპრილის დღეებში განცდილი ჯოჯოფეთურ — სულიერი ტანჯვა, რომელიც გამოიწვია

ოსმალთა ურდოების შემოსევამ იმ მაგბნელი დღეების მოგონების, დროს. შეიძლება ითქვას აგრეთვე მესხიერებაში არ წამოიქონს ბათონი, ფორტი „ანარია“ და მისი გმირი სიმონიკა შავგულიძე.

სიმონიკა შავგულიძე 1917 წ. ბოლშევიკების მიერ ფრონტის გახრწნისას, ბრძოლაში გამოცდილ-გაკაჯებული და თავის ვაჟაკობით დაჯილდოვებული ყველა ოფიცრის ხარისხის ჯილდოთი (მათ შორის ოქროს ხმლითა და წმ. გიორგის ჯვრითაც) ბრუნდება სამშობლოში. თავისუფალი სამშობლოც თავის უბედურების ჟამს იწვევს მის საზღვრების დასაცავად და ეუბნება:

„აჰა გასაღები ბათომისა, „ანარია“, აწი შენი იცი? ისიც აღფრთოვანებით, გასაკცელებული ენერგიით მიეშურება იქით საითკენაც იწვევდა მოქალაქეობრივი მოვალეობა და მართლაც, უმტკინველოთ ამართლებს იმ ნდობას, რომლითაც ის აღქურვა მისმა საყვარელმა ერმა.

მაგონდება, ფორტის დათვალიერების დროს ბ-ნ მაშინდელ სამხედრო მინისტრის გეგეჰკორის შეკითხვა ფორტის მდგომარეობის შესახებ, რაზედაც სიმონიკას პასუხი იყო „სანამ ცოცხალი ვარ არვის შემოვადგმევენებ ფეხს ამ ადგილზედ, ამას შესძლებენ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემ გაცივებულ გვამს ფეხს გადააბჯენენ“-ო. მასში, როგორც მოვალეობის შეგნებულ მხედარში დაისვა საკითხი „ან გამარჯვება ან სიკვდილი სახელოვანი“. პირველს მან ვერ მიაღწია. რატომ? ეს ყველამ კარგად უწყის, ვინც კი მოიგონებს მაშინდელ ჯარის და ზოგიერთ თანამემამულეთა დამოკიდებულებას თავდაცვის საქმისადმი.

მეორეს კი უკლებლივ მიაღწია. თავისი თეთრი გიორგი მან შედგება წითლათ და ნაცვლად მიიღო ხის ჯვარი, რომელიც მის საფლავის თავთან ასვია. ეს მალაღებელია „სახელოვანი სიკვდილი“-ს მებრძოლ მხედარისთვის. მაგონდება აგრეთვე ის ჯოჯოხეთური ღამე, როდესაც ირგვლივ მტრისა და მთელი ბათომის ბატარეებს გაჰქონდათ გრიალი და, ტყვიის-მფრქვევლები და თოფები ტაკ-ტაკით უხმალტკბილდებოდნენ. სიმონიკა — 150 ჯ. კაციტ გარშემორტყმული ირგვლივ გაცილებით ასჯერ მეტ მტრის ჯარისაგან, და ყოველივე იმედს მოკლებული ჩვენების დახმარებაზედ, ცეცხლის ფრქვევით, ხელის ყუმბარებით და კიყინით მივარდები და ხან ერთ მხარეს ხან მეორეს და თავის მოწინავე რიგში დგომით, ვაჟაკობით და გამამხნევებელი სიტყვებით „აჰა ბიჭებო დავიხოცნოთ პატროსათ, მაგრამ მტერსაც ვანანოთ თავხედობაო“. ათკეცებდა და ასკეცებდა ბძოლის ყინს ყოველ ჯარისკაცში და მაჰტებდა გაბედულებას, რომ სიკვდილისათვის პირდაპირ, უშიშრად, ღია თვალებით შეიხედნათ.

მიუხედავად ასეთი ვაჟაკობისა უთანასწორო ბრძოლას მაინც თავისი გაიტანა და სიმონიკა



შუბლში განგმირული მტრის ტყვიით დადუმდა თავისი სამ ოფიცერ 84 ჯარის-კაცით, და ფორტიც დაეცა...

აღსრულდა განსვენებულის სიტყვები და მტერ-მაც მის „გვაშედეგ ფეხის გადაბჯენით“ თავისი ბინძური ხელით ჩამოსწია საქართველოს თავისუფლების დროშა.

მაგრამ ამხ. სიმონ! ის თავისუფალი დროშა, რომელიც ამაყად გეჭირათ შენ და შენს ამხანაგებს „ანარია“-ს ფორტზედ და რომელიც 1 აპრილს დილის 6 საათზედ ჩამოფხრიწა და ფეხ-ქვეშ გათელვა მოუნდომა ბარბაროსმა მტერმა, დღეს იგი 28 თვის შემდეგ უფრო ამაყად და მედიტურად ფრიალებს შვინდის ფრად დარტყობილი კოშკის წვერზედ. და დღეს ქართველი ერი გალადებული გამარჯვების ზეიმით, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირა შვილების შემწეობით, რომელთა მასწავლებელი და პირველი მაგალითის მჩვენებელი შენ იყავი, თუ როგორ უნდა სიკვდილი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მოწიწებით იხსენიებს და ეპყრობა თქვენ მიერ დანთხეულ წმინდა სისხლს, რომლითაც ოდნავად მაინც მობანეთ მაშინდელ ჩვენ მხედრობას ლაჩრობის გამო მოცხებული ჩირქი და მის მაგივრად წითლად შეღებეთ „ანარია“-ს ფორტის კედლები, რომლის წაშლაც ვერ შესძლო ვერც-ერთმა ჯურის ხალხმა, რომლებიც ავერ ორ წელზედ მეტი ეპატრონებოდნენ, ფხეკდდენ და წმენდდენ მას.

დამსწრე ჯ.-კაცი.

# ბაქოს ამბები

ჩვენ რედაქციის ესტუმრა ბაქოდან ახლად ჩამოსული სანდო პირი, რომელმაც ბაქოს დღევანდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ შემდეგი გვიამბო: იმის შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა მუსრი გააღლეს „კონტრრევოლიუციონერებს, მაშინვე შეუდგნენ ყველა დაწესებულებების და საწარმოო ფორმების ნაციონალიზაციას; ჩამოართვეს მეპატრონეებს სახლები, თეატრები, კინო-პალასები, ნავთის სამრეწველო ფირმები, საპარიკმახეროები. ერთი სიტყვით ყველაფერი თვითონ ჩაიგდეს ხელში. მცხოვრებლები პირველ ორ კვირაში იმედიანის თვალთ შეყურებდა, როგორც ნაციონალიზაციას, ისე საერთოდ ბოლშევიკურ მოქმედებას, მაგრამ შემდეგ დღითი-დღე ცხოვრება გაჯოჯოხეთდა. ბოლშევიკებმა მცხოვრებთა უკანასკნელი საზრდოც რუსეთში გაზიდეს; ნავთის წარმოება დღითი-დღე ეცემა. მუშების მდგომარეობა აუტანელია, ამისათვის ხშირია მათ შორის დეზერტირობა; სტოკებენ სამუშაოს მიდიან, უნდათ, როგორმე თავი დაიხსნან იმ ჯოჯოხეთურ პირობებიდან, მაგრამ წასვლაც რომ ძნელია. განსაკუთრებით დიდი გასაჭირია ბაქოდან გა-



† დროებით აღმასრულებელი საავიაციო გუნდის უფროსის თანამდებობისა კაპ. ნიკოლოზ აბელის-ძე მაყაშვილი.

მოსვლა რუსებისათვის, უცხოელებს უშვებენ დიდი ხარჯისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ. მის შემდეგ, რაც ზავი შეიკრა ბოლშევიკურ ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის ქართველებს კარგად ეპყრობიან. საქართველოს მისიისა და ელჩისადმი ოფიციალურად მაინც მორიდებას და პატივისცემას იჩენენ. მაგრამ ადგილობრივი გაზ. „კომუნისტი“ მაინც არ ცხრება და ყოველ-დღე ახალ-ახალ პროვოკაციებს ავრცელებს საქართველოსა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. გარდა კომუნისტურ გაზეთებისა აქ სხვა გაზეთი არ გამოდის“. ჩახშულია თავისუფალი აზროვნება, მალაზიები სულ დაკეტილია, რადგანაც საეპტრო საქონელი, განსაკუთრებით მანუფაქტურა სულ აღარ არის, ბოლშევიკების გაბატონებამდე კი მანუფაქტურა კი ბლომად იყო, ერთი კოსტუმის შესაკერავად, ისიც თუ იშოვებთ სადმე, საქირაო 150000 მანეთი.

მაგრამ მანუფაქტურას ვინ სჩივა, როცა პირველ მოთხოვნილების საგნებზე შემდეგი ზღაპრული ფასებია, პური შავი—190 მ., თეთრი პური თუ სადმე გაქივრებით იშოვნეთ ღირს 320 მანეთი, ხორცი—200 მ., ყველი—800მ., შაქრის ფხენილი 2000 მ., სარეცხი საპონი 1000 მ. და რა გასაკვირია, ამის შემდეგ, რომ ბაქოში თითქმის ყველა წინააღმდეგია. „ყოვლის შემდეგ“ ბოლშევიზმის დევნარება ხალხში მმართველ წრეების წინააღმდეგ დღითი დღე იზრდება. ხშირად აქვს ადგილი ექსცესებს, მაგრამ „ჩრევიჩაიკების“ წყალობით ჯერ ჯერობით აყუჩებენ მდგომარეობას, მაგრამ უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა: ერთი მხრივ რეაქციო-





ნერ გენ. ვრანგელის შემოტევამ და მეორე მხრით პოლონეთის ფრონტზე ბოლშევიკების სასტიკად დამარცხებამ ბოლშევიკების მდგომარეობა ერთი ასად გააუარესა; თვითონ იდეურ ბოლშევიკებთან შორისაც კი დიდი პანიკა გამეფდა. არის კიდევაც ქალაქში ხმები, რომ ბოლშევიკები ქალაქს მალე დასტოვებენო; არა ნაკლები მღელვარებაა მე 11 არმიის, სადაც ბევრა შეგნებული მებრძოლია, მაგრამ ძალზე უკმაყოფილოა ბოლშევიკური პოლიტიკით. ქალაქში ხმებია აგრეთვე ბოლშევიკების მიერ კავკასის დატოვების შესახებ, ჩრდილო კავკასიის ამბების გამო მიმოსვლა ბაქოსა და მოსკოვს შორის შესწყდა, ეხლა მხოლოდ პეტროგრადამდე მიდის მატარებელი. ფაქტიურად ყველაფერი რუსების ხელშია, ზოგიერთი მკვიდრი მოღვაწენი ყავო. როგორც მთავრობაში ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. მაგრამ მათ ცალი თვალთ უყურებენ და სასტიკ კონტროლ ქვეშ ჰყავთ.

ბაქოდან ტფილისამდე ჩამოსვლას 4-დღე მოუხდით, რადგანაც დიდი უწყესრიგობაა გზებზე: მატარებლებს ჩხრეკავენ, სადგურებზე დიდხანს აჩერებენ და სხვა. ფოილოში რომ გადმოვჯექით საქართველოს რკინის გზის მატარებელში, სული მოეიტყვით, გულზე მოგვეშვა.

5 თვეა რაც წავედი ტფილისიდან ბაქოში, მაგრამ 5 საუკუნე მგონია, ისეთი გაჭირვება გავიარე. გუშინ ტფილისის ცხოვრებას ვავეცანი, გული სიხარულით და ნეტარებით ამევსო.

## მთხუნველი.

წარსულ დღეებში შემოვიარე მე-3 ახალციხის სანაპირო რაზმი, რომელსაც უკავია არდაგან ტროიციკის თავა, ნახვისას ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ბინებზე კულტურულმა მუშაობამ; ყველგან ღებულობენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს, მაგრამ ყველაზედ უფრო მათ ახარებს ჟურნალი „მხედარი“, რომელშიდაც ჯარის-კაცთა წერილებია მოთავსებული. ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა ჟურნალში მოემატოს სურათები, ჯარის-კაცთა ცხოვრებიდან და ჯარის-კაცთა წერილები, პირადათ დავრწმუნდი რომ, ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჟურნალ-გაზეთებსა და საერთოდ კულტურულ მუშაობას საზღვარზე უფრო აქვს. და ამიტომ სასურველი იქნებოდა არ მოეკლო სექციას ჟურნალ-გაზეთების გაგზავნა და ძველებურათ აწვდიდეს იმ რაოდენობით ჟურნალ-გაზეთებს, როგორც ეს აქამდე იყო. ახალციხის სანაპირო რაზმის ნახვამ დამარწმუნა, რომ რა სიხალისით ეკიდებიან მონაპირე ჯარის-კაცები კულტურულ მუშაობას და სასურველი იქნება სექციამ ამგარეშობას ანგარიში გაუწიოს, რადგანაც ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ნახულმა; ამას ცნობებისათვის გწერთ.

გენერალი ახმეტელაშვილი.

მოგახსენებთ, რომ თანხმდებით ჯარების უფროსის ბრძანებისა, წახსენებულნი ვიყავი ქ. დუშეთში მე-6 დარიალის სანაპირო რაზმში კულტურულ განმანათლებელ სექციების მოსაგვარებლათ. რაზმში მოეწყო ცენტრალური ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც ასაზრდოებს ჟურნალ-გაზეთებით. წიგნებით და ბროშიურებით რაზმის ბინებს (პოსტებს) და განყოფილებებს. ცენტრალური ბიბლიოთეკა სამკითხველო მორთულია ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერალთა სურათებით. შესდგა სამკითხველოს გამგეობა, რომლის წევრებია: ექიმი არდიშვილი, ლეიტენანტი ჩხვიძე და ჯარის კაცი ხეთაგური. რაზმის მასწავლებლის თანამდებობას ასრულებს მყოფი მასწავლებელი ჯარის კაცი ჭეიშვილი. სწარმოებს რაზმის წერა-კითხვის სწავლება, არსებობს ჯარის კაცთა სკოლა რაზმთან და მასწავლებლად არის ხსენებული ჭეიშვილი, ასწავლიან წერა-კითხვას უსწავლელ ჯარის-კაცებს საერთოდ რაზმში. წერა-კითხვის უცოდინარი იყო 57 კაცი. რაზმში მიიღო სექციის მიერ გაგზავნილი „დედა ენა“ 1 ნაწილი 40 ც., 57 ც. რვეული და ყველგან შეუდგენ წერა-კითხვის სწავლებას. ბინებისათვის გაკეთდა ყუთები წარწერით: „ჯარის-კაცთა მოძრავი სამკითხველო“ და ყუთები დაგზავნილია ბინებზე წიგნებით. ქ. დუშეთში მოეწყო სცენა, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი ჯარის კაცებიც და გვარდიელებიც. სცენის ხარჯები გაილოდუშეთის გვარდიის შტაბმა, აქ რამდენიმე წარმოდგენა დაიდგა და იმართება ლექციები, მე გავმართე საუბარი „ბათომის შემოერთების და საქართველოს მდგომარეობის შესახებ“. ყაზბეგში უკვე გაიგზავნა ყუთები მოძრავი სამკითხველოებისათვის. როგორც მოგახსენებთ რაზმში ინსტრუქტორ-მასწავლებლის მოვალეობას ასრულებს უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ჯარის-კაცი ჭეიშვილი. იგივე მართავს საუბრებს სხვა და სხვა რაზმის ბინებზე, რაზმის გამგეობამ დაადგინა მოაწყოს აგრეთვე მოძრავი სასცენო-დეკორაცია, შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელია ლეიტენანტი ჩხვიძე, ჯგუფი დაივლის დრო გამოშვებით განყოფილებებს და მართავს წარმოდგენებს. მოძრავი სასცენო დეკორაციისათვის თანხას გაიღებს რაზმის სამწეო ნაწილი. ჟურნალ-გაზეთებს რაზმის ყველა ბინები ღებულობენ, რასაკვირველია, ცოტოდენი დავვიანებით. საერთოდ კულტურული მუშაობა სწარმოებს რაზმში და თქვენ პირადათ და რწმუნდებით, როდესაც ყაზბეგში წამობრძანდებით. მოგახსენებთ რა ზემო ნათქვამს გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში.

კაპიტანი გორგაძე.



# კულტურული მუშაობა ჯარში

(ზაქათალის მიმართულებით მომქმედ ჯარში)

შაბათს, აგვისტოს 14-ს გენერლები: სუმბათაშვილის და თავაძის ნებართვით და მათივე დახმარებით დ. ლაგოდების კლუბში, მე-6 ქვეითა რაზმის სცენის მოყვარეთა წრემ გამართა ჯარის კაცთათვის უფასო წარმოდგენა, რომელზედაც დაესწრო ბ-ნი სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

წარმოდგენილი იქნა: აკაკი წერეთლის ცნობილი ისტორიული 5 მოქ. დრამა „პატარა კახი“ უმთავრეს როლებს ასრულებდნენ: მეფე თეიმურაზ მეორეს—ა. გიუნაშვილი, დედოფალ თამარს—ქ-ნი სუმბათაშვილსა, პატარა კახს—„პატარა თუში“, (სამსონ სულაკაური, გივი ჩოლოყაშვილს—დ. ჭუმბურიძე, ლევ. ქვაბულიძის—ვ. გველესიანი მწყემს—კ. ვაშაძე, გელას—დანდუროვი, ტურფას—ქ-ნი ჯორჯაძისა და ბაადურს—ა. ჭიჭიკაშვილი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ძალიან კმაყოფილნი დავრჩით ყველა მაყურებელი ჯარის კაცი წარმოდგენით, რის გამოც დღე მადლობას ვუძღვებით როგორც ბ-ნ გენერლებს: სუმბათაშვილს და თავაძეს, აგრედვე ქ-ნ სუმბათაშვილისას, ჯორჯაძისას და მე-6 ქვეითა რაზმის სცენის მოყვარეთა წრეს.

ვიმედოვნებთ მომავალშიაც არ დაგვივიწყებენ ხსენებულნი პირნი და კვლავ გაგვხმარებენ საგუშაგოებზედ მდგომ ჯარის კაცთ წარმოდგენებით და სხვა გასართობებით.

ამხანაგების მონდ. ჯ.-კაცი ს. შ.

## კვირიდან-კვირამდე.

**გვარდიაში.** ახალციხის საოლქო და საველე შტაბმა ივლისის 18-ს (ოქმი 20) დაადგინა: როგორც უღირსნი გვარდიის სამსახურისათვის და მანვე ელემენტები გვარდიიდან გამოარიცხულ იქნენ და აეკრძალოთ გვარდიის სამსახურში შესვლა: რაფაელ ფერამაშვილს, კონსტ. ბალახაშვილს, გიგო პეტ. მამულაშვილს, ივანე აბულაძეს, პეტ. ივ. კილაშვილს, სიმონ ივ. ყუდიჯანაშვილს და ბაგრატ მელიქიძეს.

**გენ. გრიაზნოვის** ძეგლი, რომელიც სამხედრო ტაძრის ეზოში იდგა უკვე აიღეს. ეს გრიაზნოვი, როგორც ვიცით, იყო ამიერ-კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის უფროსად. იგი ყუმბარით მოჰკლა ჯ. არჯიანაშვილმა 1917 წელს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გვ. გეგეჭკორი სადარბაზოდ მიიღო იტალიის მინისტრმა სფერცმა.

**მფრინავის დაღუპვა.** აგვისტოს 28 დღის 6 საათზე, სასწავლო ფრენის დროს, სამხედრო მფრინავი ლეიტენანტი კილტავა ვახუშტიშვილი მიზეზის გამო 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა აპარატთან ერთად. ჩამოვარდნის დროს მფრინავი მძიმედ დაშავდა. სალამოს 6 საათზე პროფ. ტიხონოვიჩმა ფეხი მოჭრა კილტავას. დაახლოებით 7 საათზე სისხლის დაქცევისა და საერთო სისუსტის გამო კილტავამ გრძნობა დაჰკარგა და გარდაიცვალა. გარდაცვალებულმა ამ მოკლე ხანში დაასრულა ფრენოსნობის სკოლა. იგი დიდი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. კილტავას სინეჟენერო ჯარში იცნობდნენ, როგორც საუკეთესო ოფიცერს.

1 ენკენისთვის **მფრინავ კილტავას** გვამი დიდუბეში დაასაფლავეს. მთავრობამ მის დაკრძალვისთვის 70000 მ. გადასდო.

**ბათუმი.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფაჩულიამ სოფ. სამებაში შეიპყრო ზედა აჭარის ბანდების ბელადი კასკინ-ზადე და მისი ამხანაგები: ნური გოგიტიძე, იზმაილ გოგიტიძე, ისკანდერ გოგიტიძე, დურსუნ გუგუნავა, ჩეხმან ზოიძე. ესენი გენერალ მდივანს წარუდგინეს, რომელიც მათ ტფილისში გამოისტუმრებს.

**პეტროგრადში** უპარტიო მუშა ქალების ყრილობა მოხდა. ყრილობის თავმჯდომარე ქ-ნი ჩერნიშოვი, პრეზიდიუმის წევრნი და ეგოეთვე ბევრი დელეგატთაგანი ფეხშიშველი იყოვო. სწერს ბოლშევიკების გაზეთი „პროლეტარი“ (№ 39).

**პეტროგრადში მყოფ ქართველ სტუდენტთა** სია. ამ ჟამად პეტროგრადში შემდეგი ქართველი სტუდენტები იმყოფებიან: აბულაძე კალენიკე, ლაბაძე, ლეტკაშელი ნეოტუსი, მიქელაძე შალვა, ჟორდანია იოსებ, ნიჟარაძე შალვა, ხელიძე ალექსი, ღლონტი, უხოვი, შარვაშიძე, ჩაჩავა, გეორგაძე, ლოლობერიძე, დუმბაძე, ვაჩნაძე შალიკო, ბაზაძე ალექსანდრე, გარაყანიძე, ფხაკაძე ალექსანდრე, სალუქვაძე, გურგენიძე ილიკო.

**საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლა.** დღეს პარიზიდან ბათუმს ჩამოვიდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები ი. გობეჩია, გ. გვაზავა, და გენ. ერისთავი.

**ფასი სანოვაგეზე.** თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატის ცნობებისა ტფილისში, აგვისტოს 31 სანოვაგეზე შემდეგი ფასები იყო: გირვანქა კარაქი 300 მან. საჭმლის ზეთი—300 მან. ყველი 120—170 მან; ათი კვერცხი—120 მან; თეთრი ფქვილი ფუთი 4500 მან; ადგილობრივი 1500 მან; სიმინდი ფუთი—1300 მან; პური 1400 მან; კომბოსტო ფუთი—350 მან; კართოფილი ფუთი—450 მან.



ამ დღეებში საქართველოს მთავრობამ ბევრ საკითხებში შეუთანხმდა სომხეთის მთავრობას, გარდა საზღვრების საკითხისა.

ადერბეიჯანთან მოხდა ეკონომიური შეთანხმება.

სამხედრო სასწავლებელში თხოვნების მიღება გრძელდება.

საბჭოთა რუსეთმა ჩიჩერინის პირით მიჰმართა პოლონეთს და ზავის ჩამოგდება ითხოვა.

„იზვესტია“ — სწერს: შარშან ზამთარში საბჭოთა რუსეთში საკვების უზოვრობისა გამო დაიბოცა ნახევარი შირაური ოთხფეხი საქონელი. თუ ახლავე ზოძები არ მივიღეთ, მომავალ ზამთ რს უარესი იქნებაო.

სირიაში არაბებმა დაამარცხეს საფრანგეთის ჯარი, რომელმაც ქალაქ დამარკისაკენ დაიხია.

ბოლშევიკებს პოლონეთთან ომის დროს ამ უკანასკნელ კვირაში მოუკლეს 40 ათასი კაცი და ტყვედ წაიყვანეს 80 ათასი.

სასტიკ ბრძოლებს მოვლიან ბრესტ-ლიტოვსკ-ბელოსტოკის მიდამოებში.

საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის საზავო მოლაპარაკება მინსკიდან რიგაში გადააქვთ.

სომხეთში სპეკულიანტებს 2 წლით ციხეში აპატამრებენ ან 2 მილიონ მანათით აჯარიმებენ.

### ჩვენს მეომრებს

(უძღვნი ჯარის-კაცებს და გვარდიელებს)


მოვხუციდი აღარ ვარგვივარ,  
რომ გამოვიჭრა ველადა,  
თუმცა სურვილი დიდი მაქვს  
სამშობლოს დასაცველადა,

თქვენი ქირიძე, ბიჭებო,  
თქვენსკენ მიჭირავს თვალია,  
დავიცათ ტურფა სამშობლო,  
გმირებო, ჩვენი ვალია.

ახლაც მოდიან, დაქცევას  
ემუჭრებიან კერასა;  
ნუ შეშინდებით ბიჭებო,  
თქვენ გენაცვალე ყველასა.

მოხუცსა აღარ მასვენებს  
მკლავი და გული ეული,  
თქვენსაებ ბრძოლა მწყურია  
გავგმირო მტერი წყეული

ვასილ კირვალიძე



სურათები „ლეკიანობის“ დროიდან ორ მოქმედებად.

(ეს პიესა ცენზორის მიერ აკრძალული იყო ძველი რეჟიმის დროს).

### მოკმედიანი პირნი:

- გელა.
- რონა — გელას ცოლი
- ქეთო — ამათი ქალი
- ლევანი — გელას ბიძა
- მურზა — ლეკების ბელადი
- ფატმა — ამის მეუღლე
- მაჰმად — მურზას მეგობარი
- ჰაჯი — მურზას მსახური ლეკები.

მოქმედება სწარმოებს მეტყველებს სუკუნის დასაწყისში.

### მოქმედება პირველი

I.

### გამოსვლა V.

იგინივე და გელა.

გელა: (გამოვა და იქვე კარებთან დგება). აბა, რა უნდა.

მურზა: ცოტა ახლო მოდი, გელავ.

გელა: როგორც ჩემი დამტყვევებელი მიბრძანებს, ისე უნდა ავასრულო, მეტი რა ღონე მაქვს... (წადგება წინ) აბა რა უნდა გამაკეთებინო?

მურზა: დიდი, ძალიან დიდი საქმე უნდა გააკეთებინო, თუ შენ არ გასჯიუტდები.

გელა: (დაცინვით) როგორ გავბედავ, უარი გამოვაცხადო რაზედმე, ან გავჯიუტდე, როდესაც შენ მიბრძანებ!

მურზა: (გულმოსული) შენ ჰეი, საზიზღარო ენა ტკბილათ იხმარე, თორემ, შე ვიცი, ეგ თავის აღგილს გამოეთხოვება.

მაჰმად: (იღუმლად) მურზავ, როგორ იქნება ეგრე მალე გაცხარება... მაგით საქმეს ვერ გააკეთებ...

მურზა: -მაშ რა ვუყო, როცა ასე უკმეხად ვიპასუხებს... არა, ტყუილია, რომ მე შენი მბრძანებელი ვარ? ეგ მორკილები რას გეუბნება!..

მაჰმად: შენ რაც გინდა გააკეთო, იმისთვის მეტი მოთმენა და სიმშვიდე არის საჭირო, თორემ თუ შენ ეგრე ტალკვესივით ნაპერწკალები ჰყარე ყველა უსიამოვნო სიტყვაზე, მერწმუნე, ვერაფერს ვერ გააკეთებ...





**მურზა:** (დამშვიდდება) მართალი ხარ, მაჰმად, მართალი (გელას) კარგი, გელავ ვილაპარაკოთ დამშვიდებით და საქმე ისე გადაკეთოთ.

**გელა:** რა საქმეა, რომ არ მეუბნები, თორემ მე ვაკეთება არ მეზარება: ვაცხარება კი მე სულაც არ მიფიქრია: თუ შენ სცხარობ, შენვე დამშვიდდი.

**მაჰმად:** კარგი, კაცო, და ყური დაგვიგდე, რა უნდა გითხრა... (მურზას) მე დამაცადე.

**გელა:** გისმენთ.

**მაჰმად:** ველავ, როგორც ჰხედავ შენ ჩვენი ტყვე ხარ. ტყვეს კი რასაც მოისურვებს პატრონი იმას უზამს, ე. ი. მურზას შეუძლიან, შენს ქვეყანაში გაგისტუმროს, თუ იმდენს ფულს მისცემ, რამდენსაც მოგთხოვს...

**გელა:** მერე და რამდენსა თხოულობს, გამაგებინეთ?

**მაჰმად:** მოიცა ჯერ, სხვა მინდა გითხრა, მაგას გარდა, მურზას შეუძლიან გაგყიდოს მონად... ესეც არაფერი, ამას ნება აქვს ეხლავე, დღეს: ხვალ თავი მოგქრას, გაწამოს, გტანჯოს.. ხმას ვერავინ გასცემს... შენ ამის საკუთრება ხარ.

**გელა:** მაშ რა ჰნებავს, როგორი სიკვდილით მიპირებს დასჯას?

**მურზა:** მე შენი სიკვდილი არ მნდომებია, გელავ, და არც მოვინდომებ თუ...

**მაჰმად:** მაგას სხვა ვანზარახვა აქვს... მაგასაც ეხლავ გეტყვი... რაც გითხარი მის გარდა, მაგას შეუძლიან, შენ გაგანთავისუფლოს, სულ არხეინათ გაგიშვას, თუ ერთს მცირე პირობას შეასრულებ... იმით, შენ არაფერი არ დაგაკლდება, პირიქით პატრივისცემა მოგემატება: (ჩამავალ მზის სხივები წითლად მორთავენ მთებს ან ღრუბლებს).

**გელა:** რა პირობაა ისეთი, რომელიც მე მანთავისუფლებს, ჯერ მითხარით, თუ ქვეაში დამიჯდება, მაშინ!!!

**მურზა:** მაშინ გელავ, მე და შენ მტრები კი არა, მეგობრები—მოყვრები ვიქნებით და სახელსაც მალე გავითქვამთ მთელ ქვეყანაზედ:

**გელა:** გეყოთ მაგდენი არაკები და გზის ხლართვა! თუ მეუბნებით, მითხარით, თუ არა და თავი დამანებეთ.

**მაჰმად:** რა გულფიცხია! მაშ გამიგონე: შენ შეგიძლიან თავისუფლება მიიღო მაშინ, თუ გაპატივდები და ჩვენს რჯულზე გადმოხვალ.

**გელა:** (მკვახედ) რაო, გავლევდემ?... (დაცინვით) აი რა მცირე პირობა ყოფილა. მართლაც, არ არის დიდი რამე, ვალეკება, სხვა რჯულის მიღება, რა ძნელი საქმეა!! ბევრი-ბევრი თავი მოვიპარსო და ქართულის მაგივრად ლეკური ვილაპარაკო, რა დიდი საქმეა?! (იცინის მწარედ).

**მაჰმად:** არც ძალიან დიდი საქმეა და ნურც ვერე გიკვირს... შენისთანა ბიჭებს გამოუცვლიათ წესი და რჯული, აქ რომ მოსულან! მერე და რა? შეუნიანათ, თუ? სულაც არა!.. მადლობლებიც იყვნენ. შენც ჩემო ძმაო, შორს ნუ დაიჭერ, კარ-

გად მოიფიქრე და ისე გადასჭერ. შენთანავე კაცი გირჩევ და ჩემი სიტყვა გინდობს. ლია, პირველში გეწყინება, თითქოს გენანება კიდევ წინანდელი რჯული, მაგრამ თუ მტკიცედ გადასწყვიტე და მაგრად დაადგე შენს არჩევანს, მერწმუნე, მერე არაფერი არ გაგიჭირდება და არც ვერე საძნელოდ გეჩვენება...

**გელა:** მართლა, გეტყობა, რომ გამოცდილი უნდა იყო, ან კიდევ მეტის-მეტი გულგრილი შენს წესჩვეულებათ, რომ ვერე არხეინად და მშვიდათ მირჩევ ვალეკებას... არა, შენ იცი კი რა არის ეგ სიტყვა? გესმის? შენ მაგით მეუბნები, სულ უარი ვსთქვა ყველაფერზედ, რაც აქამდის მიყვარდა, მწამდა ან მესიამოვნებოდა, თქვენ გინდათ, გულიდან ამომგლიჯოთ ის გრძნობები, რამაც დაბადებიდანვე ფესვები გაიდგა იქ... და მისი ამოგლეჯა, ხომ ჰნიშნავს, რომ გულიც უნდა ამოვიგლიჯო?! გული რომ ამოვიგლიჯო და თქვენ მაგცეთ, მაშინ ხომ ცარიელი ფუჩქი-ლა დარჩება მთელ ადამიანისაგან არა, მე ფუჩქი-ლა კი ევას ადამიანად ყოფნა მირჩევნია და დავრჩები კიდევ...

**მურზა:** გელავ, ნუ სჯავრობ, დამშვიდდი; ყური დამიგდე.. განა კაცი რაკი სჯულს, ან წესს გამოიცვლის, ის უსათუოდ ადამიანობასაც ჰკარგავს? არა, შემცდარი ხარ! ადამიანობა მაგაში კი არ არის, იმაშია, რომ საცა უნდა იყო, რა რჯულისაც უნდა იყო, მაინც კიდევ ვაჟკაცად დარჩე, მაინც სახელის შოვნა გენატრებოდეს. სახელი, დიდება ქვეყნად... აი რა უნდა იყოს შენი მომხიბლავი!.. როცა გაპატივდები, როცა ქართველობას დაივიწყებ, რომ აღარც კი გახსოვდეს, მაშინ, გელავ, იცოდე, შენ ცალი არ გეყოლება ჩვენს მხარეში და ჩვენი ეხლანდელი ქალარა ბელადი ყოჯახანი შენი მეჯინიბე იქნება.

სიმდიდრეს აღარ ვახსენებ, რადგან ეგ პირველთან შედარებით მცირე სასყიდელია ვაჟკაცობისა.. აბა, კარგად მოიფიქრე, გელავ, და მერე მიიღე ჩვენი რჯული, თუ სახელი და დიდება გინდავს მცირედ მაინც...

**გელა:** მოიფიქრე... ამ სიტყვას როგორ მეუბნებით? ბალღი ხომ არა ვარ, რომ სათამაშოებით მომატყუოთ და მომხიბლოთ? მაგის პასუხის მოცემას რაღა ფიქრი უნდა? განა ეგეთი სახელი და დიდება, როგორსაც თქვენ მიხატავთ, სახელი და დიდებაა?... ეგ სახელი კი არა, შერცხვენა და გათახსირება! განა იმას, ვისაც მტკიცედა სწამს თავისი რჯული, შეუძლიან შესცვალოს სხვაზე? განა იმას, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი ხალხი, თავისი ერი, სამშობლო, იმას შეუძლიან, იგი უარყოს? არა, ეგეთი რჩევა იმას მიეცით, ვისაც გრძნობა ვალაყებული აქვს.

**მურზა:** თუ კი ზოგიერთებისთვის შესაძლებელია, შენთვის რატომ აღარა?

**გელა:** ეგ ზოგიერთები ცხვრებს ჰგვანან, რომელნიც გაურჩევლად ყველა ფარას შეერევიან,





მათ არც წმინდა აქეთ რამე. არც პატივსაცემი. როგორც დღეს ერთს უმტყუნებს, ისე ხვალ მეორეს გამოიცვლიან ნახმარი ჩოხასავით, არაფრად უღირთ! სარგებლობისათვის ყველაფერს ჩაიდენენ ოღონდ კიმიეცი რამედა გინდა ჯამბაზობას დაიწყებენ... გარეგნათ რომ გავლევდე კიდეც, ჩემი გული მაინც ქართველი იქნება. მე ვერ ვიცრუებ, ქართველი ვარ და ქართველათ დავრჩები! რაც გენებოთ ის მიყავით.

**მურზა:** (დაცინვით) ერთი უყურე, როგორ თავადიშვილივით პრტყელ-პრტყელებს ამბობს! ვინ გლეხი, და ვინ ეგეთი ლაპარაკი...

**გელა:** რა ჰკვა მოკლელა ჰფიქრობ! რაკი კაცი გლეხია ჰკვა და ენაც დაჩლოუნგებული უნდა ჰქონდეს. და გაბედული სიტყვის თქმა არ უნდა შეეძლოს.

**მაჰმად:** დანებე მაგას თავი, შენ ეს მითხარი, ეხლა ეგეთ ციეს უარზე რომ ხარ, რჯულსა და ჩვეულებას არ გამოვიცვლიო, რას აპირებ?

**გელა:** რას უნდა ვაპირებდე, მარტო იმასა ვფიქრობ, რომ როგორმე გავშორდეთ თქვენ და მეტი არა მინდა რა, გინდ სიცოცხლეთ დამიჯდეს ეს საქმე.

**მურზა:** (გაცხარებით) თუ ეგრეა, მაშ ეხლავე თავს გაგადგებინებ და მაშინ მოგვშორდები!

**გელა:** ჩემი თავის მოჭრა ეგრე ადვილი არ არის; არც გირჩევ, თორემ ძვირად დაგიჯდება!..

**მურზა:** (ისევე) ვითომ რაო, რას მაშინებ? თუ შეეძლოთ რამე; ან შენი შველა, ან სამაგიეროს გადახდა, აქამდის სად არიან? მე არ მეშინიან იმათი! პასუხს გაცემ!!!...

**მაჰმად:** მერე როგორ გავგვშორდები, თუ ჩვენ არ გაგიშვებთ? იქნება გაქცევაზედა ჰფიქრობ ან იმედი გაქვს?

**გელა:** იმედი კი საიდან მექნება, მაგრამ ფიქრით კი ვფიქრობ, და ვნახოთ, ღმერთი რას მიწყალობებს...

**მურზა:** ტყუილად გიფიქრია, შენ მაგას ვერ მოესწრობი თუ მართლა უარს იტყვი, ამაღამვე გაგისტუმრებ საიქიოს და ზოგი მაშინ იფიქრე მაგაზე. მაგრამ ცოტა დამაცალე: ჰაჯი, დამიძახე ფატმა ს, მალე! (ჰაჯი გადის).

**მაჰმად:** (დაბლა) მითომ, გინდა, რომ იმანაც ურჩიოს?..

**მურზა:** მინდა მაგალითი უჩვენო, რომ გავლევებულებს რა პატივით ვეპყრობით, იქნება მაშინ...

**მაჰმად:** მე კი არა მწამს, და მაინც ვნახოთ!..

**მურზა:** შენ კიდეც სულ ყარყუმივით ეგრე ყბას მადგამ.

(შემოდის ფატმა, მოსდევს ჰაჯი)

**გამოსვლა VI.**

— იგივენი და ფატმა.

**მურზა:** მოდი, ფატმა, მოდი ერთი ეს ჯიუტი და კერპი ქართველი დააჯერე, რომ ლეკებმა კაი

პატივისცემა იციან გალევებულ ქართველებისა. ჩვენ ველაპარაკეთ, მაგრამ რაღაც ვერ ვხედავთ დგას და ლამის სიკვდილი არჩიოს.

**გელა:** (ცალკე) როგორ, ფატმამ უნდა მირჩიოს!

**მაჰმად:** გელავ, ფატმა გალევებული ქართველი ქალია და აბა ჰკითხე, როგორი მადლობელია ჩვენი ხალხისა!

**მურზა:** აქედან ძალათაც რომ გავისტუმრო თავის ქვეყანაში აღარ წავა...

**ფატმა:** (ნაღვლიანად) მართალს ამბობ, მურზა ბატონო (გელა ამას რომ გაიგონებს, ჯერ ვერ მიხვდება და მართალი ჰგონია, ამიტომ გაოცდება).

**გელა:** მართლა ქართველია ეგ ქალი? საექველა...

**მურზა:** აბა ამ ტყვესაც ისე დაბეჯითებით უთხარი შენ: ახრი, როგორც მე შეუბნები ხოლმე..

**ფატმა:** (გელას) მერე და შენ საექვოდ რად მიგაჩნია ჩემი ქართველობა? ქართველი ვარ, ქართველი, საბრალო ტყვე! მაგრამ (ძალდატანებითი კილოთი თითქოს ზიზღით ამბობსო). მე აღარ მინდა ჩემს სამშობლოში დაბრუნება, აღარ... რადგანაც აქაური ხალხი და ჩვეულება ყველაფერს მირჩევნია მთელს ქვეყანაზედ...

**გელა:** (გაშტერებული შეჰყურებს) მართალს კი ამბობ, ქალი?! დაუჯერებელია... როგორ იქნება...

**ფატმა:** (აწყვეტინებს სიტყვას) ეგრე რათა გგონია? (მიუახლოვდება) აბა, სცადე, შენც გამოიცვალე რჯული და მაშინ ჰნახავ, თუ რა ხალხია ეს ხალხი... გირჩევ, მომბაძო მე... ეცადე, დაივიწყო შენი ტურთა ქვეყანა, შენი სახლობა, ძვირფასი ცოლშვილი, შენი ნაღვაწ-ნაამაგდარი კარმიდამო; დაივიწყე ძმა, მეგობარი, დედა, მამა, მათი საფლავები და სალოცავები... რაც-კი გაგაჩნია ტკბილი, სასიამოვნო, სანატრელი, დაივიწყე შენი ბავშობის საამური მოგონებანი, რომელნიც არას დროს არა ჰშორდებიან თავის აღმზრდელ კუთხეს; დაივიწყე შენი ვაჟკაცობის ნამოქმედარი და ნაღვაწი... ერთის სიტყვით დაივიწყე, წარხოცე შენს გონებაში ყოველივე წარსულის ტკბილი და მწარე წუთები და მაშინ, მხოლოდ მაშინ ჰპოვებ სრულს ბედნიერებას და მოსვენებას... აქ, ამ მხარეში... (კერძოთ გელას) ხომ მიხვდი, რასაც მე გეუბნები.. შეასრულე..

**მაჰმად:** (მურზას) ყოჩაღ, რა კარგებს ეუბნება..

**მურზა:** (თავმომწონეთ) მაშ, იცის ქალმა!..

**გელა:** (კერძოთ ფატმას) მიხვდი, ვეცდები...

**ფატმა:** (საერთოდ) მაშ, თანახმა გახდები?..

**გელა:** გავხდები თანახმა, მხოლოდ ერთის პირობით...

**მურზა:** აბა, სთქვი შენი პირობა.— ფატმა ეხლა ჩვენ დაგვაცალე, შენ შენი საქმე კარგათ შეასრულე..





**გელა:** რაკი ეს ქალი ეგრე გულით მიჩვენს და მართლაც კარგი ყოფილა აქაურობა, მეც გავლევდები, მხოლოდ მარტოკას არ შემეძლიან გაძლება, თუ ჩემი ცოლი და ქალი აქ არ მეყოლება. ამიტომ მე უნდა წავიდე, ისინიც მოვიყვანო და მაშინ ყველანი გამოვიცვლით რჯულს.

**მურზა:** ეგ უფრო კარგი... შენი ქალი მოზრდილია?

**გელა:** (გულუბრიყვილოდ). ბალღი აღარ არის, მოზრდილია...

**მურზა:** გელავ, მაშ შენს ქალს ხომ მე მითავაზებ ძღვნად, როგორც შენს ბატონს.

**გელა:** (ცეცხლმოკიდებული მიიწევს) ეგ რა სთქვი, შე საზიზღარო! ამ წუთს შუაზედ გავგლეჯავ!..

**მურზა:** (წამოდგება) ჰეი, შე არამზადავ, შე უნდა!.. აბა გაბედე რამე და აქვე ცხვარივით დაგკლავ.

**გელა:** აჰაი. იარაღი მექნება, გაჩვენებდი, ვინ ვის თაჰკლავდა, მაგრამ... (გამობრუნდება) რა ვუყო, ტყვე ვარ, ტყვე!..

**მაჰმად:** დამშვიდდი, მურზავ...

**ფატმა:** (შეშინებული აღევნებს თვალყურს).

**მურზა:** (დაიღრიალებს) არ გინდა კეთილი და მე შენ გიჩვენებ უარს... ჰეი, ჰაჯი, შეაგდე და მაგრად დაუკეტე კარი!.. ხვალის დილა მაგისტვის შავად გათენდება... დამაყადოს!..

**გელა:** ოღონდ თან ხანჯალი შემოიტანე და თუ შენთვინაც თეთრად გავათენებ, ხალხი კი გაიგებს. (ჰაჯის მიჰყავს კოშკიდან).

**მურზა:** ნამცეცი არაფერი მიაწოდოთ მაგ უმადურს... სიცოცხლეს ანიჭებ და ეგ მადლობის მაგიერ დიდგულადაც არის... (ფატმა სახლში შეირბენს და, როცა მურზა და მაჰმადი გავლენ, ისევ გამოვა).

**მაჰმად:** ძალიან კერძი კაცი ყოფილა... მაგას როგორ დავიყოლიებდით... მე ეგრეც შეგონა...

**მურზა:** ეჰ, შენ ისევ შენებურად დაიწყე... ერთი წავიდეთ შამრუდნასთან, მოველაპარაკო; მე მაგას ცოცხადს აღარ ვაუშვებ, მალე გავამგზავნებ ჯოჯოხეთისკენ, რაკი სამოთხე არ ისურვა... ჰო და იმან იცის მაგნიარი ხალხის რიგიანი წამება... (გადიან) (ბინდდება).

VII.

ფ ა ტ მ ა და ჰ ა ჯ ი .

**ფატმა:** (მიუვარდება) ჰაჯი, აქ მოდი... ფულს, რამდენსაც გინდა, მოგცემ, ოღონდ გაანთავისუფლე ეგ ტყვე...

**ჰაჯი:** ქალბატონო, ვაი თუ მოგვისწროს და ორსავე დავგვოცავს... რა ვუყო, რა ვქნა!..

**ფატმა:** ბევრს ნულარ ჰლაპარაკობ და ვეღარ მოგვისწრობს. მალე მოხერხდება...

**ჰაჯი:** მეძნელება, როგორ უთაოსტო ბატონს...

**ფატმა:** აქ ნულარ დასდგები... სოფელში წადი და რაღას დავაკლებს, შენც თავისუფალი იქნები... აჰა, აი (ქისით აძლევს) ორასია... ამით შენ ბატონივით იცხოვრებ... ჰა, მალე...

**ჰაჯი:** (ყოყმანობს) რა ვქნა... მეძნელება...

**ფატმა:** (მეორე ქისითაც აძლევს ფულს) აჰა კიდევ ასი... ოღონდ მალე კი, რომ არ მოგვისწროს...

**ჰაჯი:** ეჰ!.. რა გაეწყობა, რაც იქნება, იქნება... თუ მოგვასწრო კი, შენ დავაბრალავ, მე არა ვიცი რა... (მიდის კოშკისკენ).

**ფატმა:** ოღონდ მალე კი, მალე... ნუ აგვიანებ... გამოუშვი... მეც ეხლავე გამოვალ. (შებრუნდება ისევ სახლში).

**ჰაჯი:** (გელას კარებს გაუღებს) ეხლა კი ეცადე და გაუსვი, თუ ბიჭი ხარ და მუხლში ძალა გაქვს, თორემ შენი წუთები დათვლილია... აი ქალბატონი შენი გულისათვის რასა სჩადის... ქმარსა ჰლალატობს, და შენ კი განთავისუფლებს... (გელა გამოდის ბორკილ მოხსნილი).

VIII.

გ ე ლ ა და ჰ ა ჯ ი

**გელა:** როგორ? განა ფატმამ იძენი გაბედა, რომ მანთავისუფლებს?... ოჰ, რა ძვირფასი, კეთილი და გამბედავი ადამიანი ყოფილა ეგ ქალი?... ვაშა შენს ქალობას!.. (ჰაჯის) მერე და შენ კი არა ჰლალატობ შენს ბატონს? მაგრამ ეგ კეთილი საქმეა... მოიტა შენი ხანჯალი მაინც მომეცი, გზაში დამჭირდება. (გამოდის ფატმა სამგზავროთ ჩაცმული).

IX.

ი გ ი ნ ი ვ ე და ფ ა ტ მ ა .

**ფატმა:** (იდუმალად) აბა, მალე, გელავ, თორემ დრო ცოტა გვაქვს... აი მეც მზათა ვარ...

**ჰაჯი:** როგორ, შენც მოხვალ?!.. ეგ კი არ მეგონა, თორემ...

**გელა:** ოჰ, რა დიდსულოვანი ადამიანი ყოფილხარ, ფატმავ...

**ფატმა:** რა დროს ეგენია... წავიდეთ...

**გელა:** იარაღი არა მაქვს რა... ამას (ჰაჯიზედ) ხენჯალსა ვთხოვ და არ მაძლევს.

**ფატმა:** მოიცა ეხლავე გამოგიტან ხანჯალსა და ხმაღსაც... (ამ დროს მოისმის ლაპარაკის ხმა. მურზა მოდის რამდენიმე კაცივით გალავანს გარეთ).

**გელა:** ერიჰაა... დრო აღარ არის... ისევ შენი ხანჯალი... (ჰაჯის ხანჯალს გამოგლეჯავს და ქამარში გაიჩქობს, მერე ფატმას ხელს ჩასჭიდებს და კარებისკენ წავლენ სწრაფად და კარებს უკან მიიკუნტებიან. ჰაჯი მაშინ ყვირილს დაიწყებს).



# სამარცხვინო ფურცელი. დესერტირები

ქვემოთაა  
გინჯიროთქა



ასლამაზიანი სარკის. დაიბადა ქ. ტფილ. 1894 წ.  
გაქცეული იყო ბაქოში.



ჯამალიანი მიხეილ.  
დაიბადა ქ. ტფილისში 1894 წ.

**ჰაჯი.** არიქა, მიშველეთ, ტყვე გამექცა, არიქათ... (ამ ყვირილზედ მურზა და სხვა ლეკები შემოვლენ განცვიფრებულები, კარს თავისუფალს დასტოვებენ, გელა და ფატმა ამით ისარგებლებენ და საჩქაროთ კარს გავლიონ და მიეფარებიან).

**მურზა.** რა იყო, რა გაღრიალებს, ბიჭო?

**ჰაჯი.** აგერა ბატონო, ტყვე გამექცა...

**მურზა.** როგორ თუ ტყვე?

**ჰაჯი.** ქალბატონმა გასაღები მომპარა, კარი გააღო და ტყვე გაანთავისუფლა... თითონაც და ტყვეც გაიქცნენ... აგერ, აგერ ბატონო...

**მურზა.**—როგორ? ფატმა, ჩემი ფატმა, წავიდა?! რასა ჰბოდავ, ბიჭო?... სტყუი, შენ ძაღლო... გინდა თავი იმართლო!.. ვერა, ვერა...

**ჰაჯი.** ხანჯალი თითონ გელამ წამომგლიჯა და წაიღო... თუ არა გჯერათ, აბა სახლში ნახეთ, თულა შინ იყოს...

**მურზა.** (ზარდაცემული გაექანება სახლისკენ, სწრაფად ნახავს და გამოვა). ხალხო, მართლა შინ არ არის. (ისმის თანაგრძნობის სიტყვები მოსულელებში) არიქა მდევარი, ჩქარა მდევარი... გელას სახლკარი ძირიანად უნდა გადავწვა და ყველანი ხანჯლის წვერზედ ავაგო...

**მაჰმად.** მალე ცხენები და ბიჭები, აბა, მალე... (შეიქნება ჩოჩქოლი, იძახიან მდევარი და გაიკრიფებიან).

## X.

**ჰაჯი მარტო.**

**ჰაჯი.** (თავისუფლად ამოისუნთქებს, თითქო სიკვდილმა ხელიდან გაუშვაო) მკონი გადავრჩი. ჰო ნამდვილად გადავრჩი... აბა, მაშ ეხლა კი შენც თავს უშველე თავისუფლო და მოხერხებულო ჰაჯი! ჩემი ხანჯალი გელამ წაიღო, მე სხვისას წავიღებ... თუ ხელს სხვაც არ გავაყოლე რა უფრო კარგები... (შედის სახლში)

ფ ა რ დ ა.

შემდეგი იქნება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.

## ყოველ-კვირული ჟურნალი „მხედარი“

ჯარის ნაწილებს ურიგდებათ უფასოთ. გასასვიდათ თითო ნომერი ღირს 10 მან. რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია: რუსთაველის ქ. სამხ. სამინისტროსთან არსებულ კულტურა-განათლების სექციაში. რედაქტორის პირადათ ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—9 საათამდე.